

შპს “ეკომეტრი“

ფინანსური ანგარიშგება

31 დეკემბერი 2020

ფინანსური მდგომარეობის უწყისი
შპს "ეკომეტრი" (ს/კ 404464030)
თანხები მოცემულია ლარში

ფინანსური მდგომარეობა	<u>31/12/2020</u>	<u>31/12/2019</u>
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	354	22,418
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,365,422	1,196,072
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	143,000	367,646
სხვა მოკლევადიანი აქტივები	132,713	112,914
ძირითადი საშუალებები	94,883	143,717
სულ აქტივები	1,736,372	1,842,767
ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	7,139	336,042
სხვა ვალდებულებები	86,794	-
სულ ვალდებულებები	93,933	336,042
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი	249	249
საემისიო შემოსავალი	2,900	-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	1,639,290	1,506,476
სულ საკუთარი კაპიტალი	1,642,439	1,506,725
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1,736,372	1,842,767

მოგება-ზარალის უწყისი
შპს "ეკომეტრი" (ს/კ 404464030)
თანხები მოცემულია ლარში

საქმიანობის შედეგები	31/12/2020	31/12/2019
მომსახურების გაწევიდან	-	9,295
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	1,310,310	3,219,752
გაყიდვების თვითღირებულება	(1,131,076)	-
გადამუშავების დანახარჯები	-	2,652,767
საერთო მოგება	179,234	3,229,047
სხვა საოპერაციო შემოსავალი	159,022	412,461
დასაქმებულთა ანაზღაურება	-	(28,443)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	(87,354)	(239,146)
საპროცენტო შემოსავალი	-	502
საპროცენტო ხარჯი	-	(99,566)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(54,939)	(36,759)
სულ საოპერაციო ხარჯები	16,729	9,049
საოპერაციო მოგება	195,963	3,238,096
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით გადაფასებიდან	-	(126,009)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-	61,722
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	195,963	3,173,809
მოგების გადასახადის ხარჯი	-	(35)
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	195,963	3,173,774

ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი
შპს "ეკომეტრი" (ს/კ 404464030)
თანხები მოცემულია ლარში

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2020	31/12/2019
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი ნაკადები	(22,064)	18,384
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი ნაკადები	-	-
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი ნაკადები	-	-
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	(22,064)	18,384
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	22,418	4,034
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	354	22,418

1. შესავალი

კომპანია „ეკომეტრი“ წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანია დარეგისტრირებულია 2014 წლის 28 იანვარს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ - „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდი - 404 464 030, იურ. მისამართი - ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ბესიკის #4-ის მიმდებარედ (ნაკვეთი 46/10).

კომპანია რეგისტრირებულია დღგ-ს გადამხდელად საქართველოს შემოსავლების სამსახურში.

ანგარიშგების პერიოდისთვის კომპანიის წილის მფლობელები არიან

- ნათია სალარაძე (პ.ნ. 01024022051) – **50%**
- შპს „ეროუ მენეჯმენტ გრუპ“ (ს.კ. 404574331 ყოფილი „ფორსაით ინვესტმენტ გრუპ“) – **50%**

ანგარიშგების პერიოდისთვის კომპანიის დირექტორია - გრიგორი მორჩილაძე (01018002152).

კომპანიის ძირითად ეკონომიკურ საქმიანობას წარმოადგენს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობების მშენებლობა. დამატებით, არაძირითად ეკონომიკურ საქმიანობას შეადგენს, - საიჯარო მომსახურების გაწევა.

კომპანიას ანგარიშგების პერიოდისთვის არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმო.

წესდების შესაბამისად, კომპანიის საანგარიშგებო წელი განისაზღვრება 1-ლი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD = 3.2766 ლარი;

1 EUR = 4.0233 ლარი.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD = 2,8677 ლარი;

1 EUR = 3,2095 ლარი.

3. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

3.1 საანგარიშგებო პერიოდისთვის, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

3.2 წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

3.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

3.4. 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

3.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

3.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად. დაუმთავრებელი სამშენებლო ხელშეკრულებებიდან მიღებული ამონაგების აღიარებისათვის გამოიყენება პროპორციული შესრულების მეთოდი, რომელიც გულისხმობს მოცემული თარიღისათვის შესრულებულ სამუშაოებზე გაწეული დანახარჯების თანაფარდობის დადგენას მთლიანი სახელშეკრულებო დანახარჯების შეფასებულ თანხასთან მიმართებით.

თუ შეუძლებელია ხელშეკრულების შედეგის საიმედოდ შეფასება, მაშინ:

(ა) საწარმომ აღიარებს მხოლოდ ამონაგების ნაწილს, რომელიც დაკავშირებულია იმ სახელშეკრულებო დანახარჯებთან, რომლის ანაზღაურებაც მოსალოდნელია; და

(ბ) სახელშეკრულებო დანახარჯები, ხარჯად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მოხდება მათი გაწევა.

თუ მოსალოდნელია, რომ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთლიანი სახელშეკრულებო დანახარჯები გადააჭარბებს მთლიან სახელშეკრულებო ამონაგებს, მოსალოდნელი ზარალის თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება ხარჯის სახით და, ამავე დროს, იქმნება შესაბამისი ანარიცხი წაგებიან ხელშეკრულებასთან დაკავშირებით.

თუ მოსალოდნელი აღარ არის იმ თანხის ამოღება, რომელიც საწარმოს უკვე აღიარებული აქვს როგორც სახელშეკრულებო ამონაგები, საწარმომ ამგვარი თანხა უნდა აღიაროს მიმდინარე პერიოდის ხარჯად და არა როგორც სახელშეკრულებო ამონაგების კორექტირება.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

- (ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;
 - (ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;
 - (გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და
 - (დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).
- ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლევადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდასაბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და
(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

- ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.
- ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება შემცირებადი ნაშთის მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.
- გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

მანქანა-დანადგარები - 20%;

კავშირგაბმულობის საშუალებები - 10%;

ოფისის აღჭურვილობა - 20%;

კომპიუტერული ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები - 20%;

ავეჯი და სხვა ინვენტარი - 20%;

სამშენებლო ინვენტარი - 20%;

მსუბუქი სატრანსპორტო საშუალებები - 20%;

სატრანსპორტო საშუალებების აქსესუარები - 20%;

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა - 15%;

სხვა მცირეფასიანი ძირითადი საშუალებები - 50%.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

3.7. გადასახადები

კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად. ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოუშვებიათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისის შემთხვევებისა).

2020 წელს საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს, ხოლო დამატებითი ღირებულების განაკვეთი - 18%-ს შეადგენდა.

4. ფული და ფულის ექვივალენტები

	<u>31-12-20</u>	<u>31-12-19</u>
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	103	22,279
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	251	139

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

საანგარიშგებო პერიოდისთვის, კომპანიას საექვო ვალები არ გააჩნია. გადაუხდელი მოთხოვნები არის საქართველოს რეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირების წინაშე. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რაოდენობამ შეადგინა 6 დებიტორი. გადასახდელი თანხები პერიოდების მიხედვით შემდეგია:

	<u>31-12-20</u>	<u>31-12-19</u>
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,365,422	1,196,072

6. სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები

	<u>31-12-20</u>	<u>31-12-19</u>
გაცემული სესხები	-	-
მისაღები პროცენტები	120,111	116,201
გადახდილი ავანსები	22,889	240,584
საგადასახადო აქტივი	-	10,861
	143,000	367,646

7. სხვა მოკლევადიანი აქტივები

სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივები შედგება დაუმთავრებელი წარმოების და სამშენებლო ნედლეული-მასალისგან. ასევე საგადასახადო აქტივისგან, რომელიც გამოწვეულია შეცდომით დარიცხვული საგადასახადო გასწორებისგან (ბრძანება N34333 18.11.2020).

	<u>31-12-20</u>	<u>31-12-19</u>
საქონელი	33,879	34,081
ნედლეული და მასალები	356	356
დაუმთავრებელი წარმოება	78,477	78,477
სხვა მიმდინარე აქტივები	20,000	-
	132,712	112,914

8. ძირითადი საშუალებები

	<u>31-12-20</u>	<u>31-12-19</u>
მიწის ნაკვეთები	34,169	34,169
ნაგებობები	25,330	25,330
მანქანა-დანადგარები	404,362	404,362
ოფისის აღჭურვილობა	10,022	10,022
ავეჯი და სხვა ინვენტარი	30,663	30,663
სატრანსპორტო საშუალებები	143,878	143,878
	648,424	648,424

	<u>31-12-20</u>	<u>31-12-19</u>
ნაგებობების ცვეთა	(5,580)	(4,314)
მანქანა-დანადგარების ცვეთა	(370,168)	(317,647)
ოფისის აღჭურვილობის ცვეთა	(8,067)	(6,513)
ავეჯისა და სხვა ინვენტარის ცვეთა	(30,643)	(27,405)
სატრანსპორტო საშუალებების ცვეთა	(139,082)	(110,306)
	(553,540)	(466,185)

2020 წლის განმავლობაში არ მომხდარა დამატებითი ძირითადი საშუალებების შეძენა. შესაბამის პერიოდზე დარიცხული ცვეთის გამო, ძირითადი საშუალებების წმინდა ღირებულება შემცირდა 87,354 ლარით დაშეადგინა 94,884 ლარი.

9. სავაჭრო ვალდებულებები

2020 წლის განმავლობაში კომპანიამ შეძლო მნიშვნელოვნად შეემცირება წინა პერიოდში დაგროვილი ვალდებულებები, კერძოდ კი სავაჭრო ვალდებულებები. სხვა ვალდებულებების ძირითად ნაწილს ავანსად მიღებული თანხების.

10. საანგარიშგებო პერიოდის მოგება

2020 წლის საანგარიშგებო პერიოდში, კომპანიის წმინდა მოგებამ შეადგინა - 195, 963 ლარი. შემოსავლებმა ძირითადი საქმიანობიდან შეადგინა 1,310,310 ლარი, აღნიშნული მოიცავდა შემოსავლებს მარაგების რეალიზაციიდან. შემოსავალი მოგება-ზარალის უწისში მიეკუთვნება იმ საანგარიშგებო პერიოდს, როდესაც მოხდა მომსახურების გაწევა და საქონლის რეალიზება, თანახმად რეალიზაციის პრინციპისა. რეალიზებული საქონლის თვითღირებულებამ შეადგინა 1,131,076 ლარი. კომპანიამ ანგარიშების პერიოდში არასაოპერაციო საქმიანობისა, კერძოდ კი სავალურო გადაფასებიდან, მიიღო 159,022 ლარის შემოსავალი.

31-12-20

დაზღვევა	2,281
რემონტი	3,328
ძირ, საშ. საექსპლ. შენახვის ხარჯი	2,653
საგადასახადო ხარჯი	1,053
ბანკის საკომისიო	1,091
1000 ლარამდე ხარჯი ძირითადი საშუალებები	676
კომუნალური ხარჯი	421
საგადასახადო ჯარიმა - საურავები	119
სხვა საოპერაციო ხარჯები	43,318
	54,939

31-12-20

ნაგებობების ცვეთა	1,266
მანქანა-დანადგარების ცვეთა	52,521
ოფისის აღჭურვილობის ცვეთა	1,554
ავეჯისა და სხვა ინვენტარის ცვეთა	3,238
სატრანსპორტო საშუალებების ცვეთა	28,776
	87,354

11. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 28 სექტემბერს



ფინანსური მდგომარეობის უწყისი
შპს "ეკომეტრი" (ს/კ 404464030)
თანხები მოცემულია ლარში

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2020	31/12/2019
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	354	22,418
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,365,422	1,196,072
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	143,000	367,646
სხვა მოკლევადიანი აქტივები	132,713	112,914
ძირითადი საშუალებები	94,883	143,717
სულ აქტივები	1,736,372	1,842,767
ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	7,139	336,042
სხვა ვალდებულებები	86,794	-
სულ ვალდებულებები	93,794	336,042
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი	249	249
საემისიო შემოსავალი	2,900	-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	1,639,290	1,506,476
სულ საკუთარი კაპიტალი	1,642,439	1,506,725
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1,736,372	1,842,767

მოგება-ზარალის უწყისი
შპს "ეკომეტრი" (ს/კ 404464030)
თანხები მოცემულია ლარში

საქმიანობის შედეგები	31/12/2020	31/12/2019
მომსახურების გაწევიდან	-	9,295
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	1,310,310	3,219,752
გაყიდვების თვითღირებულება	(1,131,076)	-
გადამუშავების დანახარჯები	-	2,652,767
საერთო მოგება	179,234	3,229,047
სხვა საოპერაციო შემოსავალი	159,022	412,461
დასაქმებულთა ანაზღაურება	-	(28,443)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	(87,354)	(239,146)
საპროცენტო შემოსავალი	-	502
საპროცენტო ხარჯი	-	(99,566)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(54,939)	(36,759)
სულ საოპერაციო ხარჯები	16,729	9,049
საოპერაციო მოგება	195,963	3,238,096
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით გადაფასებიდან	-	(126,009)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-	61,722
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	195,963	3,173,809
მოგების გადასახადის ხარჯი	-	(35)
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	195,963	3,173,774

ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი
შპს "ეკონეტრი" (ს/კ 404464030)
თანხები მოცემულია ლარში

<u>ფულადი სახსრების მოძრაობა</u>	<u>31/12/2020</u>	<u>31/12/2019</u>
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი ნაკადები	(22,064)	18,384
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი ნაკადები	-	-
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი ნაკადები	-	-
<u>ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)</u>	<u>(22,064)</u>	<u>18,384</u>
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	22,418	4,034
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	354	22,418

